

COS | CAUCASUS
S | OPEN SPACE



სასამართლოს კარს მიღმა:

მოსამართლეებისა და თანაშემწეების
უხედეულები

სასამართლოს საგანმანათლებლო
და პრაქტიკულ საჭიროებებზე

იმერეთის სასამართლოები

C
O
S | CAUCASUS
OPEN SPACE



სასამართლოს კარს მიღმა:

მოსამართლეებისა და თანაშემწეების
შეხვედულებები
სასამართლოს საგანმანათლებლო
და პრაქტიკულ საქმიანობებზე

იმერეთის სასამართლოები

კვლევის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ღია სივრცე კავკასია (COS). ის შეიძლება არ ასახავდეს „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



კვლევა ჩატარდა იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან თანამშრომლობით



აპტორები: სოფიო სოხაძე, თამარ ავალიანი, სულხან სალაძე, თეონა მაჭარაშვილი, მერაბ ცინდელიანი, ირმა პავლიაშვილი

გამოცემაში პასუხისმგებელი პირები: ირმა პავლიაშვილი, თეონა მაჭარაშვილი

რედაქტორი: მაია ახალაია

დიზაინი და დაკაბადონება: თეონა ნაცვლიშვილი

თბილისი, 2021

ბარეკანზე: ზედხედი ნიუ იორკის უზენაესი სასამართლოს სხდომათა დარბაზში, ბრუკლინი; მხატვარი - ჯოზეფ პაპინი, კონგრესის ონლაინ ბიბლიოთეკა, ბექდური მასალისა და ფოტოგრაფიის განყოფილება.

© აკრძალულია კვლევაში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება და გავრცელება კომერციული მიზნით „ღია სივრცე კავკასიის“ ნებართვის გარეშე.

სარჩევი

შეჯამება	5
მეთოდოლოგია	8
ძირითადი მიზნობები	12
1. განგრძობითი სწავლება: ტრენინგები	12
1.1. სასურველი თემატიკა	12
1.2. ტრენინგების ორგანიზაციული მოწესრიგება	19
2. სამოსამართლო პრაქტიკის სინქრონიზაცია, ერთგვაროვნება	25
2.1. წვდომა საერთაშორისო პრაქტიკაზე, წყაროების ხელმისაწვდომობა ქართულ ენაზე	25
2.2. პრაქტიკის ჰორიზონტალური გაზიარება სხვადასხვა ტერიტორიის მოსამართლეებს, პროკურორებსა და ადვოკატებს შორის	27
2.3. პრაქტიკის ვერტიკალური გაზიარება: უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადანყვეტილებები	29
3. ორგანიზაციული ბარიერები	32
3.1. ადამიანური რესურსის სიმწირე სასამართლო საქმეების მზარდი რაოდენობის პირობებში	32
3.2. მხარეებთან ურთიერთობა, მათ შორის პანდემიის პირობებში	34
4. ახალი უფლებრივი სტანდარტების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა	36
5. მგრძობა ადამიანის უფლებების მიმართ	39
6. საზოგადოების წვდომა სასამართლოს მიმართ: საზოგადოებრივი ურთიერთობები და სილუვალა	40
რეკომენდაციები	43

შეჯამება

ღია სივრცე კავკასიის წინამდებარე საპილოტე კვლევის მიზანია მოსამართლეებისა და მათი თანაშემწეების საჭიროებების გამოვლენა განგრძობითი სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. იმერეთის სასამართლოების მასშტაბით, ხარისხობრივი ანალიზის პარალელურად, ჩატარდა რაოდენობრივი გამოკითხვა, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა. კვლევა ძირითადად კონცენტრირდება საჭიროებების სამ კომპონენტზე: მოსამართლეების ტექნიკური უნარ-ჩვევები, შინაარსობრივი (სამართლებრივი) ცოდნა და მათი ინფორმირებულობა/მგრძობელობა ადამიანის უფლებათა თანამედროვე დაცვის სტანდარტების შესახებ და ორგანიზაციულ-ინსტიტუციური ბარიერები.

კვლევა ექსპერიმენტულია, რაც გულისხმობს ექსპერიმენტულ მეთოდოლოგიას, კითხვებს, კითხვარის სტრუქტურას (რაც ეფუძნება სამაგიდე კვლევის შედეგად გამოვლენილ საერთაშორისო პრაქტიკას, მათ შორის, ემპათიის კვლევის მეთოდებს). კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს როგორც ონლაინ ანონიმურ რაოდენობრივ კითხვარს, ისე ჩალრმავებულ ინტერვიუს და ჯგუფურ დისკუსიებს (ფოკუს ჯგუფებს): 44 მონაწილე ჩაერთო ხარისხობრივსა და 63 - რაოდენობრივ კვლევაში. **ჯამში კვლევაში ასახულია 107 მონაწილის მოსაზრება**. კვლევის საპილოტე ბუნებიდან გამომდინარე, ხარისხობრივი ნაწილის კონცენტრირება მოხდა იმერეთის რეგიონის მოსამართლეებსა და მათ თანაშემწეებზე.

კვლევა ჩატარდა იუსტიციის უმაღლეს სკოლასთან მჭიდრო თანამშრომლობით და მომდევნო პერიოდში იგეგმება კვლევის განვრცობა სხვა რეგიონებზეც, ასევე, კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების ასახვა მოსამართლეების სასწავლო პროგრამაში (როგორც შინაარსობრივ, ისე საორგანიზაციო ნაწილებში).

იმერეთის რეგიონში კვლევის ძირითადი მიგნებებია:

მინაარსობრივი გადამზადების საჭიროებები:

1. კვლევაში ჩართული პირები საჭიროებენ ტრენინგს მრავალი მიმართულებით: საკონსტიტუციო სასამართლოს გადამწყვეტილებების შედეგად არსებული ცვლილებები, ასოცირების შეთანხმებით დაწესებული ახალი სტანდარტების, სხვა საკანონმდებლო სიახლეების შესახებ. კვლევის მონაწილეები ახსენებდნენ სპეციფიურ სფეროებში ექსპერტიზის ნაკლებობით გამომწვეულ სირთულეებს და ტრენინგების აუცილებლობას (საფინანსო, სამშენებლო, გარემოსდაცვითი და სხვა სპეციფიური სფეროები).

ადამიანის უფლებათა სტანდარტების შესახებ ინფორმირება:

2. რესპონდენტების თქმით, ისინი საჭიროებენ ადამიანის უფლებათა თანამედროვე სტანდარტებში გადამზადებას, რადგანაც მათ არ აქვთ დროული და სრულყოფილი ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე (ტრენინგზე შეზღუდული ადგილების, შესაბამისი ლიტერატურის ქართულად თარგმანების არასაკმარისი რაოდენობის და/ან ინგლისური ენის ცოდნის მხრივ არსებული დაბრკოლებების გამო).

ორგანიზაციული საკითხები:

3. სკოლის მიერ ორგანიზებული სასწავლო პროგრამების ფარგლებში, ტრენინგის მონაწილეთა შერჩევის არსებული წესი უთანასწორო ვითარებას ქმნის: სისტემა არევისტრირებს მხოლოდ პირველ 15-20 მონაწილეს. შედეგად, რეგიონში წლების განმავლობაში მოსამართლეებს არ აქვთ ინფორმაცია საკანონმდებლო სიახლეებისა თუ ახალი სტანდარტების შესახებ. არსებული სისტემა საჭიროებს შეცვლას.

4. კვლევის მონაწილეები უპირატესობას პირისპირ ტრენინგებს ანიჭებენ, ვინაიდან ონლაინ გამართული ტრენინგი არ იძლევა რთულ და წინააღმდეგობრივ სამართლებრივ საკითხებზე გამოცდილების გაცვლის/დისკუსიის შესაძლებლობას, ამავდროულად, მიუთითებენ ონლაინ ტრენინგების ხარისხის (ინტერნეტზე წვდომა, ტექნიკური ინფრასტრუქტურა, ონლაინ ტრენინგების მეთოდოლოგია) გაუმჯობესების აუცილებლობასაც. მით უმეტეს, კოვიდ-19-ის პანდემიის კონტექსტში, რომელმაც შექმნა შეუქცევადი და მზარდი საჭიროება, მეტი საქმიანობა გაიმართოს ონლაინ.

5. პროკურორების, ადვოკატების, პოლიციელების, მოსამართლეების განსხვავებული სტანდარტის და სხვადასხვა ტრენერის მიერ განსხვავებული მიდგომებით გადამზადების გამო, არ არსებობს თანხვედრა კანონის განმარტებების კუთხით. აუცილებელია ერთგვაროვანი მასალით/მიდგომებით სასამართლო სისტემის ყველა მონაწილის გადამზადება, რაც მართლმსაჯულების ეფექტიანობას აამაღლებდა.

6. რესპონდენტების თქმით, ადამიანური რესურსების სიმცირე და სპეციალიზაციის არარსებობა (მოსამართლეთა, თანამემნეთა არასაკმარისი რაოდენობა, თანამემნეთა ფუნქციების გაუმიჯნაობა), სასამართლო საქმეების მზარდი რაოდენობის პირობებში, ნეგატიურად აისახება მართლმსაჯულების ხარისხზე.

ტექნიკური საკითხი:

7. არსებობს საჭიროებები მოსამართლეების საზოგადოებრივ ხილვადობასთან დაკავშირებით: აუცილებელია ტრენინგები გადამწყვეტილების დასაბუთების მიმართულებით (რაც სასამართლოსთვის საზოგადოებასთან კომუნიკაციის ძირითადი საშუალებაა, ამიტომ მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დასაბუთებული გადამწყვეტილება მხარეებს განუმტკიცებდა რწმენას მის სამართლიანობაში და ხელს შეუწყობდა საზოგადოების ნდობის ამაღლებას სასამართლოს მიმართ) და მოსახლეობის ინფორმირება სასამართლოს როლის, პროცედურების და მათი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ, რათა გაიზარდოს ნდობა სასამართლოს მიმართ (რაც სასამართლოს ეფექტიანობასაც შეუწყობდა ხელს).

დეტალური შედეგები და რეკომენდაციები განხილულია ანგარიშის წინამდებარე თავებში.

იმერეთის მოსამართლეების საჭიროებების კვლევა წარმოადგენს უფრო ვრცელი კვლევის პირველ საპილოტე ნაწილს, რომლის უპირველესი ამოცანაა იმერეთში მომუშავე მოსამართლეების საჭიროებების კვლევა (*ძირითადად, განგრძობითი განათლების სფეროში, კვლევა ასევე ეხება ინსტიტუციურ, საორგანიზაციო, საკანონმდებლო და სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებს*). გარდა ამისა, კვლევა თავისი ბუნებით ექსპერიმენტულია, ამიტომ კვლევის საპილოტე ნაწილში, კვლევითი ჯგუფის ამოცანაა, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით, ახალი კვლევითი ინსტრუმენტის შემუშავება, რათა სამომავლოდ კვლევის განგრძობა შესაძლებელი იყოს მთელი საქართველოს მასშტაბით და შეიქმნას მუდმივმოქმედი ინსტრუმენტი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის უწყვეტი განვითარებისა და გაძლიერებისთვის.

წინამდებარე კვლევის ინსტრუმენტები და შესაბამისად, შედეგები სამი ძირითადი ნაწილისგან შედგება:

— **ორგანიზაციული საკითხები** (რა ორგანიზაციული, ინსტიტუციური და საკანონმდებლო დაბრკოლებები უშლის ხელს სამართლო სისტემას უკეთ მუშაობაში);

— **შინაარსობრივი საკითხები** (რა თემატური ცოდნა ესაჭიროებათ მოსამართლეებს საქმეების უკეთ წარმართვისთვის) განსაკუთრებული აქცენტით:

— **ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ხარისხზე** (აღნიშნულ ნაწილში შეფასდა, თუ რამდენადაც მიწოდებათ მოსამართლეებს ინფორმაცია ადამიანის უფლებების სფეროში უახლესი სტანდარტებისა და გამოცდილების, მათ შორის, ქალთა უფლებების, შშმ პირების, ეთნიკური, რელიგიური უმცირესობებისა და ლგბტქ+ თემის შესახებ).

ექსპერიმენტული კვლევისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო მკვლევართა მულტიდისციპლინური ჯგუფი, რომელიც აერთიანებ-

და სასამართლო სისტემის, პრაქტიკოსი ადვოკატის, სოციალური მკვლევრის, კარგი მმართველობისა და პოლიტიკური ფსიქოლოგიის მიმართულებით მომუშავე სპეციალისტებს.

კითხვარის შედეგანამდე, მკვლევრებმა განიხილეს არსებული ამერიკული და ევროპული აკადემიური გამოცდილება, სხვადასხვა თეორიული ჩარჩო, რომლითაც იზომება მიკერძოება და დისკრიმინაციისკენ მიდრეკილება. მათ შორის, განვიხილეთ ერთ-ერთი კლასიკური „ემპათიის შეფასების“ მოდელი (The Empathy Quotient EQ), შემუშავებული სიმონ ბარონ-კოენის მიერ¹, რომელიც შედგება თვითშეფასების 60 კითხვისგან და ივსება დამსწრე პირების გარეშე (კითხვები მოიცავს თვითშეფასებას ადამიანების მგრძობელობის კუთხით, ადამიანებისა თუ ცხოველების მიმართ). გარდა ამისა, განვიხილეთ ფარული მიკერძოების ტესტები², რაც მოითხოვს ასოციაციური მიკუთვნების საფუძველზე (სიტყვა-ფოტო) ქვეცნობიერი მიკერძოების გამოვლენას (გამოიყენებოდა აშშ-ში წლების განმავლობაში, დისკრიმინაციული დამოკიდებულებების საკვლევად). გარდა ამისა, განვიხილეთ ევროკავშირის სახელმძღვანელოები ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების შესახებ³, დევიდ მაიერსის თეორიები „ჯგუფური გავლენისა“ და „დამოკიდებულებების ფორმირების“ შესახებ⁴. მკვლევართა ჯგუფმა აღნიშნული მასალის გარშემო გამართა დისკუსია და მათი ელემენტების გათვალისწინებით, შეადგინა ახალი კითხვები/კითხვარი და შეთანხმდა კვლევის წარმართვის მეთოდოლოგიაზე. მომავალში სასურველია კვლევისთვის მეტი დროის გამოყოფა, სამაგიდე კვლევის უფრო დეტალური შესწავლისა და განხილვისთვის, განსაკუთრებით, მულტი-დისციპლინურ ფორმატში.

კვლევის ექსპერიმენტული ბუნება, ერთი მხრივ, კარგი შესაძლებლობაა ახალი ინსტრუმენტის შემუშავებისა და შემოწმებისთვის, თუმცა, ამავდროულად, **კვლევის ექსპერიმენტული ბუნება** განაპირობებს კვლევის შეზღუდვასაც: ექსპერიმენტული ბუნებიდან გამომდინარე, კითხვარი არ არის გადამოწმებული ვალიდურობაზე და არ მოიცავს უკვე არსებულ, მრავლად შემოწმებულ კითხვებს. კვლევის რაოდენობრივი ნაწილი არ არის წარმომადგენლობითი (რეპრეზენტატული), რადგანაც მისი ექსპერიმენტული ბუნებიდან

1. Simon Baron-Cohen, Autism Research center at the University of Cambridge, [ბმული](#)
2. Project Implicit, Hidden Bias Tests/IATs (Hidden Association Tests), Harvard, Virginia and Washington University, [ბმული](#)
3. EU Rights-Based Approach (RBA), [ბმული](#)
4. David Myers - Group Influence, Attitudes and Behavior formation, [ბმული](#)

გამომდინარე, მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის რესპონდენტებთან (63 ქვეყნის მასშტაბით) შემონდა (სამომავლოდ უფრო ფართო მასშტაბის კვლევისთვის ინსტრუმენტის მოსამზადებლად). ამავდროულად, **კვლევის გარკვეული ნაწილი შესაძლოა მგრძობიარე საკითხს წარმოადგენდეს რესპონდენტებისთვის**, სასამართლო სისტემის გარშემო არსებული დამუხტული გარემოს გათვალისწინებით, არსებობდა ინფორმაციის შეცვლის/ნაკლებად გულწრფელი პასუხების რისკი. კვლევის მესამე შეზღუდვა იყო **შემჭიდროებული ვადები**, რამაც მკვლევართა ჯგუფს არ მისცა შესაძლებლობა საკითხები უფრო მეტად განეგრძოთ. კვლევის მეოთხე შეზღუდვა უკავშირდება **რესპონდენტთა ჰომოგენურ ჯგუფს, რომელიც, ძირითადად, მოსამართლეებისა და თანაშემწეებისგან შედგებოდა** და მხოლოდ მათს ხედვას, პოზიციებს ასახავს.

აღნიშნული რისკებისა და შეზღუდვების გავლენის შესამცირებლად, მკვლევართა ჯგუფმა მოახდინა კვლევის ტრიანგულაცია და ინფორმაციის წყაროდ გამოიყენა როგორც სამაგიდე კვლევა (როგორც ადგილობრივი კვლევების მიმოხილვა, ისე საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილება, როგორც სასამართლო საგანმანათლებლო სისტემის ინსტიტუციური მოწყობისა და განგრძობითი განათლების მიმართულებით, ისე კვლევის ტექნიკის - მგრძობიარე კითხვების დასმის, კითხვარის სტრუქტურირებისა და სხვა მიმართულებით), ასევე რაოდენობრივი ანონიმური კითხვარი, ჯგუფური დისკუსიები (ფოკუს-ჯგუფები) და პირისპირ ჩაღრმავებული ინტერვიუ.

კვლევის დასკვნების გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ფოკუს ჯგუფებიდან, ჩაღრმავებული ინტერვიუდან და ონლაინ კითხვარებიდან ჰომოგენური პასუხები მიუთითებს კვლევის რესპონდენტებს შორის გულწრფელობის მაღალ ხარისხზე, ხოლო მათ მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და სურვილები, ამავდროულად, საინტერესოდ ეხმიანება განგრძობითი განათლების მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილებას.

რაოდენობრივი კითხვარი შედგებოდა 30 შეკითხვისგან. კითხვარი ანონიმურად შეავსო ორივე ინსტანციის 63 მოსამართლემ და თანაშემწემ მთელი საქართველოდან (მათ შორის, 11-მა მოსამართლემ - ქუთაისიდან)⁵. ჯგუფურ განხილვებში (ფოკუს ჯგუფებში)

5. თბილისი - 27, იმერეთი - 13 (ქუთაისი - 11, სამტრედია - 1, ზესტაფონი - 1), ქვემო ქართლი - 8 (რუსთავი - 6, ბოლნისი - 2), კახეთი - 5 (სიღნაღი - 3, გურჯაანი - 1, თელავი - 1), შიდა ქართლი - 3 (გორი - 1, ხაშური - 2), სამცხე-ჯავახეთი 2 (ახალქალაქი - 1, ახალციხე - 1), აჭარა - 2 (ბათუმი), გურია - 2 (ოზურგეთი), სამეგრელო 1 (ფოთი).

მონაწილეობა მიიღო ჯამში 15 მოსამართლემ და 19 თანაშემწემ, ხოლო ჩაღრმავებული ინტერვიუ გაიმართა 5 თანაშემწესა და 5 მოსამართლესთან (ჯამში 44 მონაწილე ჩაერთო ხარისხობრივსა და 63 - რაოდენობრივ კვლევაში — **სულ, კვლევაში ასახულია 107 მონაწილის მოსაზრება**).

კვლევის შედეგებმა გამოავლინა საინტერესო მიგნებები, რისი ასახვაც დაუყოვნებლივ შესაძლებელია სასწავლო პროგრამებსა და საორგანიზაციო საკითხებში. ამავდროულად, ბევრი შედეგი წარმოადგენს დისკუსიის საინტერესო საგანს და სასამართლო სისტემაში არსებული გამოწვევების ახლებურად განხილვის შესაძლებლობას ქმნის.

1. განგრძობითი სწავლება: ტრენინგები

1.1. სასურველი თემატიკა

მონაწილეებმა დაასახელეს მრავალი სხვადასხვა საკითხი, რომელშიც, მათი აზრით, არსებობს გარკვეული დანაკლისი და მნიშვნელოვანია დამატებითი ტრენინგების გამართვა. მიუხედავად დასახელებული თემატიკის მრავალფეროვნებისა, თითქმის ყველა ჯგუფში გამოიკვეთა საერთო ტენდენცია: კვლევის მონაწილეებს აქვთ განცდა, რომ მომრავლებული **საკონსტიტუციო დავებისა და გადანყვეტილებების პირობებში, მათთან დროულად არ აღწევს ინფორმაცია არსებული სიახლეების შესახებ.** მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს მრავალ გადანყვეტილებაზე ჯერ კიდევ არ არსებობს შესაბამისი განახლებული კანონმდებლობა, ხოლო რიგ შემთხვევაში - არ არსებობს განერილი კონკრეტული პროცედურები/სტანდარტები/მიდგომები, რაც გარკვეულ ბუნდოვანებას ქმნის. მოსამართლეებმა და თანაშემწეებმა ასევე ახსენეს, რომ მათთვის აუცილებელია ადამიანის უფლებების შესახებ სიახლეების გაცნობა. სწორედ ამ მიმართულებით დასახელდა ყველაზე დიდი საჭიროება, ტრენინგების შინაარსობრივი თემატიკის თვალსაზრისით.

„...საერთაშორისო... ადამიანის უფლებები - მართალია, ყოველ წელს ატარებს სკოლა ტრენინგებს, მაგრამ ყოველთვის საჭიროა, მიდგომები სულ იცვლება. უახლესი პრეცედენტული სამართალი ძალიან მნიშვნელოვანია...“

მეორე მნიშვნელოვანი საერთო ტენდენციაა — **ტექნიკურ/ვინრო დარგობრივ სფეროებში ტრენინგების აუცილებლობა.** კვლევის მონაწილეები ახსენებდნენ სპეციფიკურ სფეროებში ექსპერტიზის ნაკლებ-

ბოზით გამონვეულ სირთულეებს და ტრენინგების აუცილებლობას, როგორცაა: საფინანსო, სამშენებლო, გარემოსდაცვითი და სხვა სპეციფიკურ სფეროებში ექსპერტიზის დანაკლისს.

კონკრეტული თემატიკიდან, შინაარსობრივი თვალსაზრისით,

„...მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საინტერესო იქნება ძალიან - ძალიან ბევრი კომპანია არ იცავს გარემოს, ჰაერის დაბინძურების კუთხით - დიდი ტკივილია ჩემთვის. ეს საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია და აუცილებლად დაგვჭირდება ტრენინგი გარემოზე. ყველაზე ნაყოფიერი ალბათ ტრენერთა მულტიდისციპლინური ჯგუფი იქნებოდა...“

კვლევის მონაწილეებმა დაასახელეს შემდეგი საკითხები, რაშიც ისურვებდნენ დამატებით ტრენინგს:

- უსაფუძვლო გამდიდრება (წინააღმდეგობრივი და რთული ნორმების გათვალისწინებით);
- დელიქტები (წინააღმდეგობრივი პრაქტიკის გათვალისწინებით);
- ბავშვთა უფლებები (ახალი კოდექსის ძალაში შესვლის გათვალისწინებით);
- სამენარმო სამართალი (სფეროში არსებული საკითხების ფართო სპექტრის გათვალისწინებით);
- გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმეთა წარმოება (საინვესტიციო გარემოსთვის მნიშვნელობიდან გამომდინარე);
- ადამიანის უფლებები და პრეცედენტული სამართალი (რადგანაც აღნიშნული სფერო მუდმივად ცვალებადია და მუდმივად ახალი მიდგომები ვითარდება);
- საარჩევნო სამართალი (როგორც კვლევებშია ნახსენები, დავების სიმრავლის გამო განსხვავებული სპეციალიზაციის მოსამართლეების ხშირი გამწესება საჭიროებს სფეროში მეტი მოსამართლის გადამზადებას);
- სამშენებლო, გარემოსდაცვითი სამართალი;
- საკონსტიტუციო სასამართლოს გადწყვეტილებებიდან გამომდინარე წარმოშობილი სიახლეების შესახებ ტრენინგები.

კვლევის მონაწილეები ახსენებდნენ **საარჩევნო პერიოდში მომრავლებული დავების შედეგად, განსხვავებული სპეციალიზაციის მოსამართლეების ჩართვას საარჩევნო დავებში**, რაც გარკვეულ სირთულეებს უქმნიდა მათ. აღსანიშნავია, რომ საარჩევნო დავები

ერთ-ერთი სტრატეგიული მნიშვნელობის სფეროა, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყანაში პოლიტიკურ სტაბილურობაზე. წინამდებარე კვლევამ დაადასტურა „ღია სივრცე კავკასიის“ საარჩევნო დაკვირების შესახებ ანგარიშის მიგნებები, მათ შორის გამოიკვეთა სხვადასხვა საარჩევნო დარღვევებთან დაკავშირებით რეაგირების სამართლებრივ ქრილში მოქცევის აუცილებლობა, რაც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეამცირებდა ქვეყნისთვის საზიანო პოლიტიკურ კრიზისს. გარდა ამისა, აღნიშნული ტიპის დავების განხილვა შემჭიდროებულ ვადებში მიმდინარეობს, ამასთან პერიოდულად ხორციელდება საკანონმდებლო ცვლილებები, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას სძენს საარჩევნო დავების შესახებ ტრენინგების ჩატარებას.

განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა **გაკოტრების საქმეების მიმართულებით ცოდნის გაზიარების და ამ თემაზე ლექციების/ტრენინგების ჩატარების საჭიროებაზე**. მათი განცხადებით, ამ თემაზე ტრენინგი საერთოდ არ ჩატარებულა. საჭირო ცოდნა ამ მიმართულებით იმდენად მწირია, რომ მოსამართლეებს სასამართლოს სხდომებიც კი გადაუდიათ დამატებითი ინფორმაციის და ცოდნის მოძიებამდე. მათი შეფასებით, რიგ შემთხვევაში **ეს იმდენად მნიშვნელოვანი დავებია, რომ ასეთი ტიპის საქმეზე მიღებულმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ქვეყნის საინვესტიო გარემოზე**. მით უფრო მაშინ, როდესაც რიგ საქმეებში სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მსხვილი კომპანიები და/ან უცხოური კომპანიები მონაწილეობენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვთა უფლებების საკითხები პრიორიტეტულადაა აღიარებული, სასამართლო სისტემა არ შეხვედრია სრულყოფილად მომზადებული ახალი კოდექსის ამოქმედებას. კვლევის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს ამ მიმართულებით საქმეების ზრდასა და საერთო გადატვირთვას (რაც მიუთითებს, განგრძობითი განათლების თვალსაზრისით, საორგანიზაციო საკითხების დახვეწის აუცილებლობაზე). მათ ხაზი გაუსვეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოების მომზადების საჭიროებას. როგორც ერთ-ერთმა მოსამართლემ აღნიშნა, ქუთაისში სულ ორი ადვოკატია სპეციალიზებული ამ კატეგორიაზე, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ამ კატეგორიის საქმეების განხილვას. ასევე მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ რთულდება ექსპერტიზის ჩატარება მსგავს საკითხებზე (ქუთაისში ექსპერტის არარსებობის გამო, რამდენიმე საქმეზე 1 წელი შესაძლოა დასჭირდეს ექსპერტიზას). ასევე, იმერეთში არ არის საკმარის

სი ბავშვთა ფსიქოლოგები. ქუთაისის საქალაქო სასამართლოში არ არის არც ბავშვთა ოთახი, რაც, მოსამართლეთა თქმით, ართულებს სხდომაზე მისული ბავშვების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

აღნიშნული მიმართულებით გამოიკვეთა, როგორც მოსამართ-

„...ექსპერტიზა რომ დანიშნო ბავშვზე ექსპერტი არ არის და შეიძლება ერთი წლის მერე მოგინოს ექსპერტიზა...“

„...როგორ შეიძლება ერთი ფსიქოლოგი იყოს იმერეთში. ერთი ფსიქოლოგი, 2 თვე უნდა დასკვნის მომზადებას და ამასობაში შეიძლება ოჯახში დახოცონ ერთმანეთი...“

„...არ გვაქვს ქუთაისში ბავშვის ოთახი. გაკვირვებული მოდის სასამართლოში. ერთმა ტირილი დაიწყო, სად მოვხვდით. ორი და-ძმა იყო და ტიროდა რომ შეეშინდა ამის და ჩემთან შეთანხმებით, სხვებთან შეთანხმებით თანაშემწემ ეს ბავშვი, რომ გაეჩუმებინა შემოიყვანეს, თავისი რაღაცეები აჩვენეს, პასტები, ფლომასტერები აჩუქეს. დაათვალიერებინეს...“


ლეთა პროფესიული განვითარების, ისე სასამართლოს ინფრასტრუქტურის მოწესრიგების და მსგავსი ტიპის დავებში ჩართული მონაწილე პირების რაოდენობის გაზრდის, მათი პროფესიული გადამზადების აუცილებლობა.

ქუთაისში, ანონიმური კითხვარით (სამოქალაქო სამართლის დარგში), გამოვლინდა შემდეგი თემატური ტრენინგების საჭიროება (11 რესპოდენტიდან): ბავშვთა უფლებები - 6, შრომითი უფლებები - 5, სახელშეკრულებო - 5, სამენარმეო - 4, დელიქტები - 3, დისკრიმინაცია - 3, გადახდისუუნარობა - 3, ბიზნესდავები - 3, სამედიცინო - 3.

ქვეყნის მასშტაბით, სამოქალაქო სამართლის დარგში, გამოკითხული მონაწილეების დაახლოებით 50% და მეტი ისურვებდა კვალიფიკაციის ამაღლებას ბავშვთა უფლებებში (60%) - მიუხედავად ამ საკითხზე ჩატარებული ტრენინგების სიმრავლისა, შრომით უფლებებსა (52%) და დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკითხებთან (49%) შედარებით.


გამოკითხული მონაწილეების დაახლოებით 25%-დან 50%-მდე ისურვებდა კვალიფიკაციის ამაღლებას სახელშეკრულებო სამართალში (43%), დელიქტები (32%), სამენარმეო (32%), სამედიცინოსა (29%) და ბიზნესდავებში (25%).

გამოკითხული მონაწილეების დაახლოებით 25%-ზე ნაკლები ისურვებდა კვალიფიკაციის ამაღლებას გადახდისუუნარობაში (18%) და სხვა საკითხებში.



ქუთაისში, ანონიმური კითხვარით (სისხლის სამართლის დარგში), გამოვლინდა შემდეგი თემატური ტრენინგების საჭიროება (11 რესპოდენტიდან): არასრულწლოვანის მონაწილეობით - 6, ეკონომიკური - 6, ოჯახური დანაშაული - 5, სამედიცინო - 4.

ქვეყნის მასშტაბით, სისხლის სამართლის დარგში, გამოკითხული მონაწილეების დაახლოებით 50% ისურვებდა კვალიფიკაციის ამაღლებას არასრულწლოვანის მონაწილეობით წარმართულ საქმეებში (56%), ოჯახურ დანაშაულთან (48%), ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე (46%) - მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეთა დიდი ნაწილის თქმით, მათ ამ საკითხებზე წარსულშიც ჩაუტარდათ ტრენინგი.



გამოკითხულთა დაახლოებით 30% ისურვებდა კვალიფიკაციის ამაღლებას სამედიცინო (35%) და ეკონომიკურ (30%) დავებზე.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის დარგში, მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს სიახლეების შესახებ ინფორმაციის სიმწირეზე:

„...იმდენი გადანყვეტილებაა (იგულისხმება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებები) სისხლში უკვე - არცერთი ტრენინგი არ ჩაგვტარებია. და ზოგადად საკანონმდებლო ცვლილებებზე. მსჯავრდებულები ჩვენზე ადრე იგებენ - უკვე იციან ციხეში რა ხდება...“


ქუთაისში, ანონიმური კითხვარით (ადმინისტრაციული სამართლის დარგში), გამოვლინდა შემდეგი თემატური ტრენინგების საჭიროება (11 რესპოდენტიდან): ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობა - 5, დისკრიმინაცია - 5, სამშენებლო - 5, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები - 5, სააღსრულებო ურთიერთობები - 5, საგადასახადო - 4, საარჩევნო - 4, სოციალური დაცვა - 4, საჯარო სექტორში დასაქმებულთა უფლებები - 4, გარემოსდაცვითი - 3, ადმინისტრაციული ხელშეკრულება - 3, შესყიდვები - 3, საცხოვრებელი ბინების/სხვა სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია - 3, უძრავი ქონების რეგისტრაცია - 3, სამედიცინო დავები - 3.

ქვეყნის მასშტაბით, ადმინისტრაციული სამართლის დარგში, გამოკითხულთა დაახლოებით 50% და მეტი ისურვებდა კვალიფიკაციის ამაღლებას დისკრიმინაციის (57%), ოჯახური და ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის (52%) საკითხებზე.

დაახლოებით 25%-დან 40%-მდე ისურვებდა კვალიფიკაციის ამაღლებას ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებთან (43%), ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებთან (42%), უძრავი ქონების რეგისტრაციასთან (38%), საგადასახადო (37%), სააღსრულებო (37%), სოციალური უფლებების დაცვასთან (30%) სამედიცინო დავებთან (30%), საარჩევნო დავებთან (29%), საჯარო სექტორში დასაქმებულთა შრომით უფლებებთან (27%) დაკავშირებით.

დაახლოებით 15%-დან 25%-მდე ისურვებდა კვალიფიკაციის ამაღლებას საცხოვრებელი ფართის პრივატიზაციის (24%), შეს-

ყიდვების (22%), გარემოს დაცვის (19%), არანებაყოფლობითი ფსიქოლოგიური დახმარების მიზნით სტაციონარში მოთავსებისა (18%) და სხვა საკითხებზე.




შინაარსობრივი საკითხების გარდა, პროფესიული უნარ-ჩვევების მიმართულადაა, მონაწილეებმა ისურვეს კვალიფიკაციის ამაღლება სამოსამართლო ხელოვნებაში. გამოკითხულთა უდიდესი ნაწილი თანხმდებოდა, რომ საჭიროა ტრენინგების ჩატარება გადანყვეტილების დასაბუთების ტექნიკაში (76%). მონაწილეები საუბრობდნენ, რომ გადანყვეტილების უკეთ დასაბუთება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა სასამართლოს საქმეს: ერთი მხრივ, თავად სასამართლოს პრაქტიკის განვითარებას შეუწყობდა ხელს, რადგანაც მოსამართლეები და თანაშემწეები შეძლებდნენ ერთმანეთის გადანყვეტილებების უკეთ, უფრო სწრაფად, ეფექტურად გაცნობას ერთგვაროვანი პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებისთვის, ხოლო მეორე მხრივ, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და დასაბუთებული გადანყვეტილება მხარეებს განუმტკიცებდა რწმენას გადანყვეტილების სამართლიანობაში და შესაბამისად, ხელს შეუწყობდა საზოგადოების ნდობის ამაღლებას სასამართლოს მიმართ.

საინტერესოა ისიც, რომ მოსამართლეებმა და თანაშემწეებმა გამოთქვეს სურვილი, თავადაც ჩაერთონ ტრენინგების წარმართვაში, რათა საკუთარი რეგიონის კოლეგებს გაუზიარონ მიღებული ცოდნა და ინფორმაცია. ამისთვის, მოსამართლეებმა ხაზი გაუსვეს ტრენინგთა ტრენინგის ჩატარების საჭიროებას. ჯგუფური განხილვის დროს, ტრენინგებზე არსებული ადგილების არასაკმარისი რაოდენობის გათვალისწინებით, პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ გზად სწორედ

ტრენინგების კასკადური მეთოდი აღმოჩნდა მისაღები მონაწილეებისათვის (როდესაც შერჩეული მონაწილეები გაივლიან ტრენინგს და შემდგომში საკუთარ რეგიონში სხვა კოლეგებსაც უზიარებენ მიღებულ ცოდნას).

ქუთაისში, ანონიმური კითხვარის მეშვეობით გამოვლინდა შემდეგი ტრენინგის საჭიროებები (უნარ-ჩვევების ნაწილში, 11 რესპოდენტიდან): გადანყვეტილების დასაბუთება - 9, სტრესის მართვა - 4, ეფექტური კომუნიკაცია - 3, კვლევა/ანალიტიკა - 3, ინფორმაციული ტექნოლოგიები - 3, კონფლიქტის მართვა - 3.

გარდა ამისა, **ქვეყნის მასშტაბით გამოკითხულმა მოსამართლეებმა და თანაშემწეებმა** ისურვეს კვალიფიკაციის ამაღლება შემდეგი მიმართულებით: კვლევა/ანალიტიკური უნარ-ჩვევები (43%), ეფექტური კომუნიკაცია (35%), ინფორმაციული ტექნოლოგიები (35%), კონფლიქტის მართვა (35%), სტრესის მართვა (33%) და სხვა.



1.2. ტრენინგების ორგანიზაციული მოწესრიგება

ორგანიზაციული საკითხების განხილვისას, მონაწილეებმა ყველაზე მეტი ყურადღება გაამახვილეს **ტრენინგებზე ელექტრონული რეგისტრაციის სისტემის გაუმართაობით გამოწვეულ უთანასწორობაზე დედაქალაქსა და დასავლეთ საქართველოს შორის**. კვლევის მონაწილეებმა განმარტეს, რომ ტრენინგებზე არსებულ შეზღუდულ ადგილებზე წინასწარი რეგისტრაცია უფრო ხელსაყრელია თბილისში მცხოვრები მოსამართლეებისა და თანაშემწეებისთვის, მათ შო-

რის, ინტერნეტზე უკეთესი წვდომიდან გამომდინარე. კვლევის მონაწილეები უარყოფითად აფასებენ 15-20 კაციან ლიმიტებს. ბევრმა მონაწილემ ახსენა, რომ სურვილის მიუხედავად, ელექტრონული რეგისტრაციის პროგრამის შემოღების შემდგომ ვერ ახერხებს კურსებზე რეგისტრაციას, რადგანაც მათზე ადგილები სწრაფად იწურება. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, თითქმის ყველა ჯგუფში, მონაწილეებმა დაასახელეს კვოტების სისტემა, როგორც გამოსავალი (რა დროსაც, დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს, ან სხვადასხვა რეგიონს, გამოეყოფა ტრენინგზე დასასწრებად გარკვეული კვოტა, ტრენინგებზე გეოგრაფიულად თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად). მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს სკოლის მიერ პერიოდული გამოკითხვა ტრენინგის სასურველ თემატიკასთან დაკავშირებით, თუმცა, სასურველია გამოკითხვის შედეგების უკეთ ასახვა დაგეგმილი ტრენინგების რაოდენობასა და გეოგრაფიულ გადანაწილებაში.

შენიშვნები გამოთქვას ერთი და იმავე თემატიკის ტრენინგებზე რამდენჯერმე დასწრების შესაძლებლობაზე, რაც სხვა დაინტერესებულ პირებს უზღუდავს ტრენინგში მონაწილეობის შესაძლებლობას. ტრენინგებში მონაწილეობის შემაფერხებელ ერთ-ერთ გარემოებად, ასევე მიუთითეს, რომ ისეთ ტრენინგებზე, რომელთა თემატიკაც უფრო თანაშემწეებისთვის არის მნიშვნელოვანი მათი ფუნქციებიდან გამომდინარე, რეგისტრაციის შესაძლებლობა აქვთ მაგ. კანცელარიის მუშაკებს, კურიერს და ა.შ. რომელთათვისაც, თანაშემწეებთან შედარებით, ნაკლებად საჭიროა ამა თუ იმ თემატიკის ტრენინგი. სპეციალიზებული თემატიკის ტრენინგში მონაწილეობა მიუღია ისეთ თანაშემწეს, რომელსაც საერთოდ არ აქვს პრაქტიკა იმ კონკრეტულ სფეროში, როცა იმ სფეროში მომუშავე თანაშემწეს არ მისცემია მონაწილეობის შესაძლებლობა. მათ აღნიშნეს, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად კარგი იქნება, თუ სკოლის მიერ ტრენინგის დაგეგმვის ეტაპზე, შემუშავებული იქნება მეთოდისა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს თემით დაინტერესებული და საჭიროების მქონე პირების იდენტიფიცირებას, მათ მიანიჭებს ტრენინგზე დასწრების პრიორიტეტს (მაგალითად, კონკრეტულ საკითხზე მომუშავე პირებს მიენიჭოთ უპირატესობა თემატიკის მიხედვით და მათ მიერ სურვილის დაუფიქსირებლობის შემთხვევაში ჰქონდეთ სხვა მოხელეებს მონაწილეობის შესაძლებლობა).

„...ტრენინგის მოდული უნდა იყოს ისე აწყობილი, რომ შეფასება პროცესში შედიოდეს. უნდა იყოს როლური თამაშები, კაზუსები და ტრენერის შეფასება...“


„...სასამართლოს მენეჯერები შეიძლება ჩაერთონ ტრენინგების მონაწილეების შერჩევაში...“

მოსამართლეებმა და თანაშემწეებმა ასევე განიხილეს **ტრენერთა (განსაკუთრებით - უცხოელ ტრენერთა) შერჩევის პროცედურაში სპეციფიკური კრიტერიუმის დაან შესაბამისი მომზადების აუცილებლობა**. კერძოდ, დიდმა ნაწილმა ახსენა, რომ ტრენინგი ყველაზე ეფექტიანია მაშინ, როდესაც უცხოელ ტრენერს აქვს კარგი ცოდნა არა მხოლოდ უშუალოდ სასწავლო მასალაზე, არამედ, საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, ახალი საკითხები გააცნოს ტრენინგის მონაწილეებს ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით (რაც, კვლევის მონაწილეების თქმით, ტრენინგს უფრო ღირებულს და პრაქტიკულს ხდის). ისეთი ტრენინგები, სადაც უცხოელ ტრენერს აქვს ცოდნა მხოლოდ წარმომავლობის ქვეყნის კანონმდებლობასა თუ გამოცდილებაზე, როგორც წესი, არ იძლევა ისეთ ცოდნას, რომლის პრაქტიკაში ასახვასაც მონაწილეები მოგვიანებით შეძლებდნენ.

ანონიმური ონლაინ კითხვარის შედეგად გამოვლინდა, რომ ქუთაისში 1 მოსამართლე საქმეების 10%-ზე ნაკლებად იყენებს ტრენინგის დროს მიღებულ ინფორმაციას, 4 მოსამართლე - 10-30%-ში, 2 მოსამართლე - 30-50% საქმეში, 1 მოსამართლე 50-70%-ში.

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა **ქვეყნის მასშტაბით გამოკითხულ მონაწილეთა უპასუხები, თუ რამდენად გამოიყენეს სხვადასხვა ტრენინგის დროს მიღებული ინფორმაცია**, რაზეც 27%-მა უპასუხა „10%-ზე ნაკლებ საქმეში“, 25%-მა უპასუხა „10-30% საქმეში“, 24%-მა უპასუხა „30-50% საქმეში“, 13%-მა უპასუხა „50-70% საქმეში“ და მხოლოდ 11%-მა უპასუხა „70-100% საქმეში“. აქედან ჩანს, რომ უდიდესი ნაწილი მხოლოდ საქმეების მცირე ნაწილში იყენებს ტრენინგების დროს მიღებულ ინფორმაციას. მნიშვნელოვანია მომავალში ამ ინდიკატორის გაუმჯობესება, რათა მეტი მოსამართლე თვლიდეს, რომ თითოეულ ტრენინგს აქვს პრაქტიკული ღირებულება.

8. თქვენ მიერ განხილული საქმეებიდან, რამდენში გამოიყენეთ ტრენინგის დროს მიღებული ინფორმაცია?



რაც შეეხება ტრენინგების ფორმატს, ფოკუს ჯგუფის *მონაწილეთა დიდი რაოდენობა თანხმდება, რომ პირისპირ გამართული ტრენინგი უფრო ეფექტიანია, ამავდროულად, ერთი მხრივ, არსებობს ტრენინგზე ხელმისაწვდომობის პრობლემა რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამის ხარვეზების და ლიმიტირებული ადგილების გამო, ხოლო, მეორე მხრივ, ონლაინ გამართული ტრენინგი არ იძლევა რთულსა და წინააღმდეგობრივ სამართლებრივ საკითხებზე დისკუსიისა და გამოცდილების გაცვლის შესაძლებლობას*, უკანასკნელ პერიოდში მათ არ ჰქონიათ პროფესიული განვითარების ეფექტიანი შესაძლებლობა. კოვიდ-19-ის პანდემიის კონტექსტში, რომელმაც შექმნა შეუქცევადი და მზარდი საჭიროება, მეტი საქმიანობა გაიმართოს ონლაინ, აუცილებელია ონლაინ ტრენინგების ხარისხის გაუმჯობესება - როგორც ინტერნეტზე წვდომის, ისე მეთოდოლოგიური გამოსავლის ძიების მიმართულებით, როგორ უნდა იყოს უზრუნველყოფილი ონლაინსივრცეში მონაწილეთა ჩართულობა და დისკუსია (რისი გამოცდილებაც „ღია სივრცე კავკასიას“ ჰქონდა სხვადასხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდოლოგიის დანერგვით წარსულ პროექტებში)⁶.

მონაწილეთა დიდი ნაწილის თანახმად, *ტრენინგების ჩატარება ონლაინ (ლექციის/სემინარის ჩანერის გზით, რომელიც შემდგომში აიტვირთება შესაბამის დაცულ ვებგვერდზე) შედარებით მეტ მოსამართლეს მისცემს მათი მოსმენის შესაძლებლობას, რაც მიუთითებს მუდმივად ხელმისაწვდომი ონლაინ ვიდეოკურსების შექმნის საჭიროებაზე*.

6. კოვიდ-19 პანდემიის დაწყებისთანავე, 2020 წლის გაზაფხულიდან, ღია სივრცე კავკასიამ სატესტო რეჟიმში გამართა 10-მდე ონლაინტრენინგი, სხვადასხვა ჩართულობის მექანიზმის/მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფდა მონაწილეების ყველაზე ეფექტურ ჩართულობას ონლაინფორმატში. შედეგად, შემუშავდა ონლაინშეხვედრების შიდა სახელმძღვანელო დოკუმენტი.


ონლაინ სწავლებისა და ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესების პარალელურად, **აუცილებელია პირისპირ ტრენინგების გეოგრაფიული ნედომის გაზრდაც**. მონაწილეებმა გამოხატეს სურვილი, მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებში როგორც საკუთარ ქალაქში, ისე სხვადასხვა რეგიონში. მონაწილეების აზრით, კარგი იქნებოდა სკოლის წყალტუბოსა და ბათუმის ფილიალების ამოქმედება, რადგან ტრენინგები დიდწილად თბილისში ტარდება (ბევრს დასავლეთიდან არ აქვს შესაძლებლობა დაესწროს მათ, ამ შემთხვევაში, ფიზიკური დაშორების გამოც).

ტრენინგების ჩატარების დროის თვალსაზრისით, გამოკითხულთა პოზიციები გაიყო: სკოლის მიერ ორგანიზებული ლექციები/სემინარები ძირითადად შაბათ-კვირას ემთხვევა, რაც მოსამართლეების ნაწილის თქმით, მათ დასვენებისთვის დროს აღარ უტოვებს. ისინი თვლიან, რომ უმჯობესია სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები დაიგეგმოს სამუშაო დღეებში. თუმცა, მეორე ჯგუფისთვის შაბათ-კვირა უფრო მოსახერხებელია, რადგანაც სამუშაო დღეებში მაინც ვერ სცდებიან საქმეებს.

ანონიმური ონლაინ კითხვარის თანახმად, ქუთაისში (11-დან) 8 მოსამართლე ისურვებდა პირისპირ ტრენინგს, 5 მოსამართლე ისურვებდა საზღვარგარეთ ვიზიტს საუკეთესო პრაქტიკის გასაცნობად, 5 მოსამართლე ისურვებდა უცხოელი ექსპერტის ვიზიტს საქართველოში და მხოლოდ 1 მოსამართლე - ონლაინ ტრენინგს.

რაც შეეხება **ქვეყნის მასშტაბით კვლევის მონაწილეებს და მათთვის განათლების სასურველ ფორმატს**, 71% მიუთითებს, რომ ურჩევნია პირისპირ ტრენინგი, ხოლო 33% - ონლაინ ტრენინგი. ასევე, დიდი ნაწილი - 75% გამოხატავს სურვილს, გაემგზავროს საზღვარგარეთ და პირადად იხილოს სამოსამართლო უნარ-ჩვევების გამოყენების პრაქტიკა რეალურ სასამართლო წარმოებაში. უცხოელ ექსპერტთან მუშაობა სურს 54%-ს, მხოლოდ მათი დიდი ნაწილი ასახელებს პირობას, უცხოელმა ექსპერტმა ქართველ ექსპერტთან ერთად ჩაატაროს ტრენინგი, ან თავად იყოს კარგად გათვითცნობიერებული საქართველოს სამართლებრივ კონტექსტში.

9. რა ფორმით ისურვებდით დამატებითი ინფორმაციის მიღებას საერთაშორისო სტანდარტებისა და სიახლეების შესახებ?



მათ შორის, ვინც ვერ ესწრება ონლაინ ტრენინგს, მიზეზად, ძირითადად, ტექნიკური პრობლემები დაასახელა:


„...არ ვართ ალჭურვილი - ამის საშუალება არ არის სამსახურში, აზრი არ აქვს რომ ჩაერთო კიდეც - რომ ჩაერთო ვიდეო თვალი ხომ უნდა გქონდეს, რომ გხედავდნენ რომ დისკუსიაში ხარ. მობილური ინტერნეტი რამდენ ხანს გეყოფა? მაშინ ამოუნურავი უნდა გქონდეს. ძირითადად ამის გამო არ ესწრებიან ხოლმე...“

2. სამოსამართლო პრაქტიკის სინქრონიზაცია, ერთგვაროვნება


2.1. წვდომა საერთაშორისო პრაქტიკაზე, წყაროების ხელმისაწვდომობა ქართულ ენაზე

როგორც ვახსენებთ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ, მე-4 თავში, კვლევის მონაწილეები თვლიან, რომ მათთვის არ არის ხელმისაწვდომი საკმარისი ლიტერატურა უახლესი პრეცედენტული სამართლის შესახებ, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. გამოკითხულთა 38% ფლობს ინგლისურს, თუმცა მათ გამოთქვეს სურვილი, შეისწავლონ სპეციფიკურად სამართლებრივი ინგლისური. დანარჩენი მონაწილეები, ვინც არ ფლობენ ინგლისურს, გამოხატავენ სურვილს, შეისწავლონ ენა საბაზისო დონეზე მაინც, რომ გადაწყვეტილებების დასაბუთების ნაწილს მაინც გაეცნონ. გამოკითხულთა ორი მესამედი ისურვებდა მეტ სამართლებრივ ლიტერატურას ქართულ, ხოლო მესამედი - ინგლისურ ენაზე.


ანონიმური კითხვარის თანახმად, ქუთაისში, 11 რესპოდენტადან, კითხვაზე: „რომელ ენას ფლობთ საკმარისად თავისუფლად, იმისთვის, რომ გაეცნოთ ამ ენაზე სამართლებრივ ლიტერატურას“ – 4 მოსამართლემ უპასუხა - რუსულად, 2 - ინგლისურად, 2- მხოლოდ ქართულად, 1 - ინგლისურად და რუსულად.




ქუთაისში, ანონიმური კითხვარის თანახმად, მიუხედავად რუსული ან ინგლისური ენების ცოდნისა, უმეტეს შემთხვევაში, 11-დან 7 მოსამართლე მაინც პასუხობს, რომ ისურვებდნენ ქართულ ენაზე მეტ სამართლებრივ ლიტერატურას. ერთი ასევე ისურვებდა დამატებით ინგლისურად, ერთი კი - რუსულად. მსგავს ტენდენციას ასახავს რაოდენობრივი კითხვარის შედეგები მთელი ქვეყნის მასშტაბითაც:



ანონიმურ ონლაინ კითხვარზე, ქუთაისში 11 რესპონდენტიდან 4 პასუხობს, რომ ქართულ ენაზე გამოცემული სამართლებრივი ლიტერატურა „უფრო არასაკმარისია, ვიდრე საკმარისი“, 3 მიიჩნევს, რომ „საკმარისია“, ხოლო 2 - „უფრო საკმარისია, ვიდრე არასაკმარისი“. დაახლოებით მსგავსი პროპორციული გადანაწილება გვხვდება ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ ანონიმურ გამოკითხვაშიც:



ანონიმური ონლაინ გამოკითხვის თანახმად, ქუთაისში, 11 რესპოდენტიდან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს საქმეების 10-30%-ში იყენებს მხოლოდ ერთი მოსამართლე, 2 მოსამართლე - 30-50%-ში, 4 მოსამართლე - 50-70%-ში და მხოლოდ ერთი - 70-100%-ში. ქვეყნის მასშტაბით პასუხების გადანაწილება უფრო ერთგვაროვანია:



2.2. პრაქტიკის ჰორიზონტალური გაზიარება სხვადასხვა ტერიტორიის მოსამართლეებს, პროკურორებსა და ადვოკატებს შორის

მოსამართლეებმა და თანაშემწეებმა გამოხატეს **დიდი დანაკლისი, ერთმანეთთან ურთიერთობისა და დისკუსიის, ინფორმაციის გაცვლის ეფექტური პლატფორმის არარსებობის გამო** (შიდა სისტემას თუ არ ჩავთვლით). მათი აზრით, სასამართლოში მრავლად დაგროვებული ცოდნა და გამოცდილება, ეფექტური ორგანიზების პირობებში, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ზემდგომ სასამართლოებში გასაჩივრების რაოდენობების შემცირებას და სასამართლო წარმოებას საქართველოში უფრო ეფექტურს გახდის.

„...სკოლა უნდა გაიაროს ყველა მხარემ, რომ საერთო ბაზა ქონდეს ყველას. ეს დავებსაც შეამცირებს...“

„...მნიშვნელოვან საქმეებზე და ახალ მიდგომებზე უნდა ხდებოდეს ყველა დონის სასამართლოს შეხვედრა. ხშირად ქვედა დონემ იცის სიახლე და აპელაციამ არა, ხდება აცდენა. ამ რეჟიმში შენით ან თანაშემწის მეშვეობით ახალი პრაქტიკების მოძებნა შეუძლებელია...“

„...ამნისტიების წინ უნდა მოხდეს ტრენინგები ყველა სასამართლოსთვის. გზადდაგზა ვსწავლობდით...“

მოსამართლეებსა და თანაშემწეებს შორის ინფორმაციის გაცვლის საჭიროების გარდა, კვლევის მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ საჭიროა ერთგვაროვანი სწავლება, ინფორმაციის მიწოდება პოლიციელის, პროკურორის, ადვოკატისა და მოსამართლეებისათვის, ასევე, სასამართლო პროცესში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლებისათვის, რათა მათ ერთიანი სტანდარტებით იხელმძღვანელონ.

„...შსს, პროკურატურა და სასამართლო ერთი სტანდარტით უნდა მუშაობდნენ - ერთნაირად უნდა ვიგებდეთ კანონის განმარტებას. პოლიცია და პროკურატურა რომ სწორად დაიჭერს ბრალს, მართლმსაჯულება კარგად ნავა - პოლიციელი რომ არასწორად იწყებს, მერე პროკურატურა პოლიციელის შეცდომას იცავს, მერე კარგი ადვოკატი ხვდება და რეალურად შეიძლება დამნაშავე ქუჩაში აღმოჩნდეს. შერეული ჯგუფებია საჭირო რომ სამივე ორგანოს სწორად ესმოდეს კანონი. ბევრ პრობლემას ააცდენს სახელმწიფოს - პოლიციიდან უნდა დავიწყოთ, შემდეგ პროკურატურა და შემდეგ უკვე სასამართლო. ესაა მთავარი. ყველას ცალ-ცალკე გვიტარებენ, ყველა ტრენინგი თავისი ხედვით მოდის, თავის განსხვავებულ მოსაზრებებს უზიარებენ სხვადასხვა ჯგუფს - ტრენინგშიც, იქაც კოორდინირება უნდა იყოს, თორემ გურჯაანი და ზუგდიდი იგივე საქმეზე სხვადასხვა გადანყვეტილებას ადგენენ. უკეთესი ქვეყანა შეიძლება ვიყოთ ეს საკითხი თუ მოგვარდება...“


2.3. პრაქტიკის ვერტიკალური გაზიარება: უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები

როგორც უკვე ვახსენებთ აღნიშნული ანგარიშის მე-4 თავში, *მოსამართლეებისა და თანაშემწეებისთვის განსაკუთრებული გამოწვევა აღმოჩნდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გაზიარება*, მათი სიმრავლიდან და სირთულიდან გამომდინარე. მონაწილეების თქმით, ბოლო წლებში მომრავლდა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რაზეც შეხვედრები „საერთოდ არ ტარდება“ და როგორც თანაშემწეებისთვის, ისე მოსამართლეებისთვის რთულია დადგენა, თუ რა იგულისხმება გადაწყვეტილებაში, როგორ უნდა აისახოს აღნიშნული გადაწყვეტილებები პრაქტიკულ საქმეებში, მით უფრო მაშინ, როცა საქართველოს პარლამენტს ახალი კანონი არ აქვს მიღებული გაუქმებული საკანონმდებლო ნორმის ჩანაცვლების მიზნით.

რაც შეეხება უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს, მონაწილეების თქმით, ისინი ისურვებდნენ როგორც ციფრულ, ისე პირისპირ გაცვლის/სადისკუსიო სივრცეს, სადაც მათ ექნებოდათ შესაძლებლობა, თემატურად გამოეყოთ სხვადასხვა საკითხი, გაეზიარებინათ ერთმანეთისთვის ინფორმაცია, დაესვათ კითხვა კონკრეტულ სივრცეში და მიეღოთ პასუხი სხვა მოსამართლეებისა და თანაშემწეებისაგან, მათი გამოცდილებისა და ინფორმაციის სწრაფად მისაღებად. მათთვის განსაკუთრებით ღირებული აღმოჩნდა პრაქტიკა, როდესაც ისინი უზიარებდნენ რთულ საკითხებს უზენაეს სასამართლოს, რომელიც მსჯელობის შემდგომ, გამოსცემდა შესაბამის რეკომენდაციებს ამა თუ იმ საკითხზე. მსგავსი საქმიანობისთვის უფრო სისტემური ხასიათის მიცემა, პლატფორმის/გაცვლის უფრო მოქნილი ციფრული პლატფორმის შექმნაც მონაწილეებისთვის სასურველი აღმოჩნდა.

ანონიმური ონლაინ გამოკითხვის თანახმად, ქუთაისში, 11 რესპონდენტიდან ერთი იყენებს საკონსტიტუციო სამართლის სტანდარტებს 10-30% საქმეში, 2 – 30-50% საქმეში, 5 – 50-70% საქმეში და მხოლოდ ერთი - 70-100% საქმეში. ქვეყნის მასშტაბით კი გადანაწილება ასეთია:


14. დასაბუთების ნაწილში რამდენად ხშირად იყენებთ საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტებს?



მონაწილეების თქმით, თუ მათ ექნებათ შესაძლებლობა მუდმივად იმსჯელონ, გაცვალონ ინფორმაცია სასამართლო პრაქტიკაზე სხვადასხვა რთულ, ბუნდოვან საკითხებთან დაკავშირებით, ეს მნიშვნელოვნად შეამცირებს გასაჩივრებული გადაწყვეტილებების რაოდენობას და სასამართლო სისტემის უფრო ეფექტიანი მართვის შესაძლებლობას მოგვცემს.


ანონიმური გამოკითხვის თანახმად, ქუთაისში 7 რესპოდენტადან: 5 რესპოდენტის მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში მიღებული 10%-ზე ნაკლები გადაწყვეტილება იქნა გასაჩივრებული ზემდგომის მიერ, 2 რესპოდენტის - 10-30% გადაწყვეტილებისა. ქვეყნის მასშტაბით გასაჩივრებული გადაწყვეტილებების წილი ოდნავ მეტია:

16. თქვენ მიერ ბოლო სამი წლის განმავლობაში მიღებული რამდენი გადაწყვეტილება იქნა გასაჩივრებული ზემდგომ ინსტანციაში, მხარეთა მიერ?




ქუთაისში, პირველი ინსტანციის სასამართლოს 7 რესპოდენტადან 6 ითვალისწინებს ზემდგომის გადაწყვეტილებებს, ხოლო 1 - ნაწილობრივ. დაახლოებით მსგავსი გადანაწილებაა ქვეყნის მასშტაბითაც:

19. გაითვალისწინეთ თუ არა ზემდგომი ინსტანციის განმარტებები თქვენს შემდგომ პრაქტიკაში?




საინტერესოა, რომ პირველი ინსტანციის რესპონდენტების პასუხები მცირედით განსხვავდება სააპელაციო ინსტანციის რესპონდენტების პასუხებისგან: 2 სააპელაციო დონის რესპონდენტი ქუთაისში უთითებს, რომ ისინი ცვლიან ქვემდგომის 10-30% გადანყვეტილებას, 1 აუქმებს 10-30%-ს, ხოლო 1 – 10%-ზე ნაკლებს. ქვეყნის მასშტაბით ეს განსხვავება კიდევ უფრო დიდია:

20. (მხოლოდ აპელაციის მოსამართლეებისთვის) ქვემდგომი ინსტანციის მიერ მიღებული რამდენი გადანყვეტილება იქნა თქვენ მიერ შეცვლილი?



21. (კითხვა მხოლოდ აპელაციის მოსამართლეებისთვის) ქვემდგომი ინსტანციის მიერ მიღებული რამდენი გადანყვეტილება იქნა თქვენ მიერ გაუქმებული?



გამოკითხულთა პირებმა აღნიშნეს, რომ არ აქვთ ისეთი ტიპის სამუშაო შეხვედრები, სადაც განხილული იქნებოდა, გაუქმებული და შეცვლილი გადანყვეტილებები. რაც, მათი აზრით, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, პრაქტიკის განზოგადების, ხოლო, მეორე მხრივ, პროფესიული განვითარების კუთხით.

3. ორგანიზაციული ბარიერები

3.1. ადამიანური რესურსის სიმწირე სასამართლო საქმეების მზარდი რაოდენობის პირობებში

ძირითად პრობლემად სახელდება საქმეთა დიდი რაოდენობა და მოსამართლეთა არასაკამრისი რაოდენობა. ასევე, მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა მოსამართლეთა სპეციალიზაციის საჭიროება. მათი განცხადებით ამ საკითხის დადებითად გადანყვეტა ბევრ პრობლემას გადაჭრიდა (მაგალითისთვის მიუთითეს, რომ სპეციალიზებული მოსამართლე ბევრ პრობლემას გადაჭრიდა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმეების განხილვის პროცესში. ამ კატეგორიის საქმეები იმდენად სპეციფიკურია, რომ, მათი მოსაზრებით, აქ სპეციალიზებული მოსამართლე აუცილებელია. მოსამართლეები, რომლებიც სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებს იხილავენ, მათივე განცხადებით, შეუძლებელია ყველა კატეგორიაში თანაბრად კარგად ერკვეოდნენ. ხშირად სხვადასხვა კატეგორიის საქმეების განხილვა ერთმანეთის მიყოლებითაა ჩანიშნული, რასაც მოსამართლეების მხრიდან შეცდომები ახლავს თან.

„...ათასი საქმე რომ მაქვს, ყველა რომ ვადაში უნდა იყოს. ყველა რომ პრიორიტეტია, მე რომ მთხოვ ხარისხს... ღმერთმა ნუ ქნას დავა წავიდეს სტრასბურგის სასამართლოში. არავინ იტყვის რომ შენ 1000 საქმე გქონდა...მე შენ რომ მთხოვ, ამას უმაღლესი დონის სტანდარტით, რა რაოდენობის საქმე უნდა მქონდეს წარმოებაში? ამ კუთხით კვლევა არავის უწარმოებია...“

„...იმ დღეს მორიგე ვიყავი აღკვეთებზე და ხალხი მელოდებოდა. აგერ გაკოტრებას ვიხილავ. ისინი გაკვირვებულები გიყურებენ, რომ სისხლი, გაკოტრება, რალაცა. იმასაც შეიძლება გაუჩნდეს, რომ არაკვალიფიციურია მოსამართლე. რა შუაშია სისხლი, რა შუაშია გაკოტრება, რა შუაშია სხვა საქმე. ზოგადად სულ სხვაა როცა ორიენტირებული ხარ, სპეციალიზებული ხარ და დიდი მიღწევა იყო ის, რომ სპეციალიზებული მოსამართლეები გვყავს თბილისში...“

გარდა მოსამართლეთა რაოდენობის სიმცირისა, საუბარი შეეხო **მოსამართლეთა თანაშემწეების სიმცირეს, მათ დაბალ ანაზღაურებებს და საუკეთესო კადრების გადინებას.** მათ მოიყვანეს მაგალითი, რომლის მიხედვითაც, 53 ვაკანსიაზე 13 კონკურსანტს აქვს განაცხადი შემოტანილი. თანაშემწეებთან დაკავშირებული რთული მდგომარეობის გამოსწორების გზად მოსამართლეების რაოდენობის ზრდა დასახელდა. თავის მხრივ, თანაშემწეთა რაოდენობის გაზრდა საქმეთა დატვირთულობასაც შეამცირებს. ხაზი გაესვა, რომ **თანაშემწეების წახალისების და მათთვის მოტივაციის გაზრდის მიზნით, არ არსებობს არანაირი პროგრამა. მათ არანაირი სოციალური გარანტიები არ აქვთ, მათ შორის არც დაზღვევა.**

პრობლემურ საკითხად დასახელდა **თანაშემწის ფუნქციების გაუმჯობესება**, კერძოდ, კი დღეის მდგომარეობით საკვლევი რეგიონის სასამართლოებში თანაშემწეები, მათი განცხადებით, ტექნიკურ ფუნქციების შესრულებასთან ერთად (მაგალითად, მხარეებთან კომუნიკაცია, გზავნილის მიღება და გაგზავნა და სხვა ტექნიკური საკითხების მოგვარება) ახორციელებენ სასამართლო გადანყვეტილებების წერილობით მომზადებას. აღნიშნული ფუნქციების გაუმჯობესების გამო ვეღარ ახერხებენ სასამართლოს გადანყვეტილებების პროექტების მაღალი ხარისხით მომზადებას, რის გამოც გამოთქვეს მწერალი თანაშემწის შტატის შემოღების სურვილი, რაც მათი აზრით ზოგადად სასამართლოს საქმიანობის ხარისხს გააუმჯობესებს და უფრო ეფექტიანს გახდის მას.

„...მოთხოვნები მოსამართლეების სტანდარტებზე და მოსამართლის დაცვირთვა შეუსაბამოა...“

„...მედიატორის ინსტიტუტი რომ არსებობდეს ბევრ საქმეს გადავცემდით. მედიაციაში პენსიაში გასული მოსამართლეები შეიძლება დავტვირთოთ და გამოვიყენოთ მათი გამოცდილება...“

პრობლემურ საკითხად დასახელდა ასევე თანაშემწეების სპეციალიზაციების არ არსებობა, კერძოდ, გარდა იმისა, რომ თანაშემწეებს არ აქვთ ფუნქციები გამიჯნული, ასევე უწევთ ერთდროულად სამართლის ყველა დარგის და კატეგორიის საქმეებზე მუშაობა. ეს, მათი აზრით, იწვევს, ერთი მხრივ, ხარისხის შემცირებას, მეორე მხრივ, არაპროდუქტიულს ხდის მათს საქმიანობას. ამასთან, რაიონულ სასამართლოში არასაკმარისი კადრების გამო, **ერთ თანაშემწეს უწევს რამდენიმე მოსამართლესთან მუშაობა**. ერთ-ერთ პრობლემად დასახელდა ის გარემოება, რომ პროგრამულად (საქმის წარმოების სისტემაში) მოსამართლეს შეიძლება მხოლოდ ერთი თანაშემწე ჰყავდეს, ხოლო, ფაქტობრივად, ჰყავს რამდენიმე თანაშემწე, რის გამოც თანაშემწეებს უწევთ ერთმანეთის ლოდინი ელექტრონულ პროგრამაში სამუშაოდ.

3.2. მხარეებთან ურთიერთობა მათ შორის პანდემიის პირობებში

დისტანციურ სასამართლო სხდომებთან დაკავშირებით, კვლევის მონაწილეთა აზრი გაიყო. **დისტანციური სხდომების მომხრეები ასაბუთებდნენ, რომ ონლაინ პლატფორმები იძლევა შესაძლებლობას, სხდომა წარიმართოს უფრო სწრაფად, ეფექტურად** (განსაკუთრებით, უდავო წარმოების საქმეები) და მხარეებმა არ გადააჭარბონ მათთვის განკუთვნილ დროს (ასევე, უფრო ეფექტურად ხდება მხარეების შეკავება, როდესაც ისინი სიტყვიერ შელაპარაკებაზე გადადიან, რაც


პირისპირ, დარბაზში უფრო რთულია). დისტანციური სასამართლო სხდომები უფრო მეტი საჯაროობისა და ღიაობის პოტენციურ შესაძლებლობას ქმნის მათთვის, ვისაც შეუძლია ონლაინ სხდომაზე თვალის მიდევნება, თუმცა, ამ მიმართულებით პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის მონესრიგებული. ამ თვალსაზრისით, შესაძლოა, დამატებითი შესწავლის საფუძველზე შემუშავდეს გარკვეული კრიტერიუმი, თურის მიხედვით შეიძლება საქმემ გადაინაცვლოს ონლაინ თუ პირისპირ სივრცეში, რათა მოხდეს სასამართლო საქმიანობის ოპტიმიზაცია.

რაც შეეხება ხარვეზებს დისტანციურ სასამართლო სხდომებთან დაკავშირებით, ერთ-ერთია **ტექნიკური ხარვეზები**. ასევე პროცესში მონაწილე პირებისგან, მათი მოსაზრებით, ხშირ შემთხვევაში პროცესის გაჭიანურების მიზნით, ხდება ტექნიკური პრობლემების მომიზეზება. აღინიშნა, რომ **სოფლის მოსახლეობას, როგორც წესი, არ აქვს ინტერნეტთან წვდომა** და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, რათა შეძლონ დისტანციურ პროცესებში მონაწილეობა. დისტანციური სხდომების მონინაალმდევე ნაწილი თვლის, რომ დისტანციურად სხდომის მომზადებასა და ჩატარებას ბევრად მეტი დრო სჭირდება, მეტ სირთულესთან არის დაკავშირებული (ტექნიკური ხარვეზებიდან გამომდინარე), ვიდრე სხდომის დარბაზში ჩატარება. მათი აზრით, მოსამართლეების შინაგანი რწმენისთვის მნიშვნელოვანია სხეულის ენის, ქცევის შეფასებაც, საზოგადოების ნდობის განმტკიცება საჭიროებს მოსამართლესთან პირისპირ ურთიერთობას.

ტექნიკურ ნაწილში დასახელდა ასევე გამონწვევები საფოსტო მომსახურეობასთან დაკავშირებით, რომელსაც ამჟამად სასამართლოს აწვდის TNT ფოსტა: მონაწილეებმა ახსენეს, რომ ხშირად კურიერები მარტივ მისამართსაც კი ვერ ან არ აგნებენ და აბრუნებენ ჩაბარებულ საბუთებს - რაც მათი ეჭვით, შესაძლოა კურიერების ანაზღაურების სისტემასთან იყოს დაკავშირებული (რაც საბოლოოდ, ართულებს საქმის მასალების ან/და სასამართლო სხდომის შესახებ უწყებების ჩაბარებას მხარეებისათვის, რაც, თავის მხრივ, იწვევს საქმეთა გაჭიანურებას).

სხვა ტექნიკური გამონწვევებთან დაკავშირებით მოსამართლეთა დიდი ნაწილი თვლის, რომ მოსარჩევეებისა და მოპასუხეების გარკვეული ნაწილი სირთულეებს აწყდება სასამართლო ფორმების შევსებისას.

ქუთაისში (ანონიმური გამოკითხვის თანახმად) 11-დან გადანაწილება ასეთია: 3 რესპოდენტი უთითებს გამოწვევებს 10%-ზე ნაკლებ საქმეში, 2 – 10-30% საქმეში, 2 – 30-50% საქმეში, 2 რესპოდენტი - 50-70%. ქვეყნის მასშტაბით:



4. ახალი უფლებრივი სტანდარტების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა


კვლევის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ, ერთი მხრივ, არ აქვთ სრულყოფილი წვდომა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე (მათ შორის, ძირითადად, ენობრივი ბარიერის გამო), ხოლო, მეორე მხრივ, არ აქვთ საკმარისი დრო, რომ გაეცნონ აღნიშნულ გადაწყვეტილებებს, რათა შემდგომში იხელმძღვანელონ მათი განმარტებებით (მათ შორის, როგორც რესურსის ნაკლებობის, ისე რუტინული საქმის სიმრავლიდან გამომდინარე).

მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს, რომ ადამიანის უფლებათა პრეცედენტული სამართალი მუდმივად ვითარდება და მათ შორის, ენის არცოდნის და ქართულ ენაზე მასალის ნაკლებობის გამო, მათ არ აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ უახლეს სტანდარტებს ადამიანის უფლებების სფეროში.

მართალია, მათ უტარდებათ ტრენინგები ადამიანის უფლებების საკითხებზე, მაგრამ ეს არასაკმარისია, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებების სიმრავლიდან გამომდინარეც.

„...საკონსტიტუციო ძალიან ორაზროვნად წერს გადანყვეტილებებს, ჩვენთვის არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამაზე ტრენინგები, შეხვედრები - რამდენიმე წლის წინ ასეთი ამბავი არ იყო, ახლა გახშირებულია ცვლილებები, რამდენიმე სფეროში საერთოდ ამოყირავდა ყველაფერი და ჯერ პარლამენტს ახალი ცვლილებები მიღებული არ აქვს...“

ქუთაისში, ანონიმური კითხვარის შედეგად გამოვლინდა, რომ 11-დან 3 რესპონდენტს საერთოდ არ ჩატარებია ტრენინგი, 2 რესპონდენტს ჩაუტარდა ბოლო 6-12 თვის განმავლობაში და 4 რესპონდენტს - 1 წლის წინ ან უფრო ადრე. მთელი ქვეყნის მასშტაბით გამოკითხული მონაწილეებიდან, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ტრენინგს დაესწრო 40% 1 წლის წინ ან უფრო ადრე, 27% - ბოლო 6-12 თვის განმავლობაში, 19% - ბოლო 3-6 თვის განმავლობაში და 14%-ს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ტრენინგზე.





კონკრეტული თემატიკის გათვალისწინებით, ბოლო ორი წლის განმავლობაში, გამოკითხულთა 71%-ს ჩაუტარდა ტრენინგი ბავშვთა უფლებებზე, 38%-ს ქალთა უფლებებზე/გენდერულ დისკრიმინაცი-

აზე, 33%-ს ოჯახურ ძალადობა/ფემიციდზე, 25%-ს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე.

იმ საკითხებს შორის, რაზეც გამოკითხულთა 20%-ზე ნაკლებს ჩაუტარდა ტრენინგები, აღსანიშნავია შემდეგი: შშმ პირების უფლებები (14%), ლტოლვილთა/ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა საკითხები (14%), და მხოლოდ 3-5%-ს ჩაუტარდა ტრენინგები ლგბტქ+ პირთა უფლებებზე, ეთნიკურ/რელიგიურ უმცირესობათა უფლებებსა და სოციალურად დაუცველთა საკითხებზე.

იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეებსა და თანაშემწეებში არ არსებობს სპეციალიზაციის მიხედვით ეფექტური განაწილება, აღნიშნული რაოდენობები არასაკმარისია, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სამართალწარმოების მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად.



ქუთაისში, ანონიმური გამოკითხვის თანახმად, 11-დან ბოლო ორი წლის განმავლობაში, 5 რესპოდენტს ტრენინგი ჩაუტარდა ქალთა უფლებებზე/გენდერული თანასწორობის საკითხებზე, 4-ს ბავშვთა უფლებებზე, 4-ს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულზე, 3-ს ოჯახურ ძალადობა/ფემიციდზე, 2-ს ეთნიკურ უმცირესობებზე, 2-ს რელიგიურ უმცირესობებზე, 2-ს ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა საკითხებზე, 1-ს სოციალურად დაუცველთა და დევნილთა საკითხებზე. არც ერთ რესპოდენტს არ ჩაუტარდა ტრენინგი ლგბტქ+ და შშმ პირთა უფლებებზე.

თითქმის არც ერთმა რესპოდენტმა არ მონიშნა, რომ მას საკმარისი რაოდენობის ტრენინგი ჩაუტარდა ზემოხსენებულ საკითხებზე, გარდა ბავშვთა უფლებებისა.

5. მგრძნობელობა ადამიანის უფლებების მიმართ

ტრენინგის მონაწილეებმა გამოხატეს სურვილი მეტი ტრენინგი ჩატარდეს ისეთ სენსიტიურ თემებზე, როგორიც არის განსაკუთრებული საჭიროებების მქონე შშმ პირების უფლებები, გენდერული თანასწორობის საკითხები და ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა.

ამავდროულად, ტრენინგის მონაწილეები თვლიან, რომ აუცილებელია სპეციალური ცოდნა ბავშვთა ფსიქოლოგიის შესახებ, მათი მონაწილეობით არსებული საქმეების უკეთ წარმართვისთვის, რა დროსაც გათვალისწინებული იქნებოდა ბავშვთა საუკეთესო ინტერესი.

„...პროკურატურა გენდერული ნიშნით ხშირად სვამს საკითხს და გვჭირდება ტრენინგი...“

რაც შეეხება გენდერული თანასწორობის საკითხებს, ამ მიმართულებითაც გამოვლინდა უახლესი მიდგომების შესახებ გადამზადების საჭიროება.

6. საზოგადოების ნდობა სასამართლოს მიმართ: საზოგადოებრივი ურთიერთობები და ხილვადობა

გამოკითხულთა დიდმა ნაწილმა ისაუბრა **სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების დაბალი ნდობის საკითხზე, რაც, მათი აზრით, გამოწვეულია საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობით**. ერთი მხრივ, ინფორმაცია სასამართლოს შესახებ მუდმივად შუქდება ტელევიზიით, თუმცა, თითქმის ყოველთვის, უარყოფით ჭრილში რაც გამოკითხულთა აზრით, არ ასახავს სასამართლოში არსებულ ვითარებას. გამოკითხული მონაწილეები აღნიშნავენ, რამდენად საპასუხისმგებლო და შრომატევადია მათთვის თითოეული საქმე და ისურვებდნენ, საზოგადოება მეტად იყოს ინფორმირებული მათი რეალური საქმიანობის შესახებ, რათა შემციოდეს წარმოდგენა, თითქოს თითოეული მოსამართლე პოლიტიკურ ზეგავლენას განიცდის. მოსამართლეები ახსენებდნენ გარკვეული პირების არაეთიკურ ქცევას, მათ შორის, უზუსტო ინფორმაციის გავრცელებითაც, რამაც საზოგადოებაში შექმნა მყარი აზრი, თითქოს სასამართლომ პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება მიიღო კონკრეტულ საქმეებზე (რაც გამოკითხულის თანახმად, სიმართლეს არ შეესაბამება):

„...შრომითი დავები რომ წამოვიდა, ყველამ გაასაჩივრა - ვინც დაიცვა ვადები ყველასი დაკმაყოფილდა, ვინც გაუშვა ვადები ყველას უარი ეთქვა. მერე ითქვა რომ ვისიც დაკმაყოფილდა - სხვა პარტიის წევრები იყვნენ. ეს ხომ არაკეთილსინდისიერია? პროფესიონალიზმს თავი რომ გავანებოთ...“

კვლევის მონაწილეებმა ახსენეს პრობლემა, რომელიც ნაწილობრივ უკავშირდება მოსახლეობაში არასწორი ინფორმაციის გავრცელებას: პირველ ინსტანციაში ადვოკატის მოწმობის არმქონე პირის მიერ დაცვის განხორციელების შესაძლებლობა ქმნის რისკს, რომ ის პირები, რომლებიც არ არიან შებოჭილი საადვოკატო ეთიკით

და კანონით მოიქცნენ არაეთიკურად. რიგ შემთხვევაში შეცდომაში შეჰყავთ დაცვის ქვეშ მყოფი პირი, პროცესში ერთვებიან არაეთიკური, კონფრონტაციული ქცევით და ხელს უშლიან მართლმსაჯულებას:

„...მანდ არის ერთი რაღაცის ბრალი - პირველ ინსტანციაში რომ ვმუშაობდი - სამოქალაქო პროცესში, გარდამავალ დებულებებში ოდითქვან ჩარჩენილი მუხლი - რომ პირველ ინსტანციაში ნებისმიერი შეიძლება იყოს წარმომადგენელი. ადვოკატი 98% ნამგებიან საქმეს ხელს არ მოკიდებს, თავს არ შეირცხვენს. და ეს ადამიანები - კვალიფიკაციის პრობლემა აქვთ და არც ეთიკას იცავენ. ადვოკატები რაღაცეებით იბოჭებიან - იმათ არაფერი აკავებს, ბევრი ვიცი არაკეთილსინდისიერად იქცევა. ატყუებს ბევრი კლიენტს. ასოციაცია ადვოკატებს ტრენინგებს უტარებს, რაც ხარისხზე მოქმედებს, და ამ ადამიანებისგან მოდის სარჩელი ისე რომ არ იცის მოთხოვნაში რა უნდა, მოპასუხემ არ იცის თავი როგორ დაიცვას - ეს არის რეალური პრობლემა. ადრე შეიძლება მიზანს ემსახურებოდა რაღაცას მაგრამ დღეს პრაქტიკა და კანონი ისე განვითარდა, გართულდა, რომ მგონია აღარ ვიმსახურებთ ამას. რეალურად, ძალიან ბევრ უსაფუძვლო სარჩელს ავიცილებთ ამ ნორმის გადახედვით...“

გარდა ამისა, კვლევის მონაწილეებმა რამდენჯერმე ახსენეს, რომ **მოსახლეობის ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ დამოკიდებულია ასევე, მათ ინფორმირებულობაზე - თუ რამდენად იციან საკუთარი უფლებები და მათი დაცვის საერთო მექანიზმები** და განმარტეს, რომ სასამართლოში საქმეების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, ურბანული ტიპის დასახლებები უფრო მეტი ნდობით ხასიათდება სასამართლოს მიმართ. როგორც უკვე პირველ ნაწილში აღინიშნა, სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობას დიდი როლი აქვს პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილებასა ან შერბილებაში, ამიტომ მნიშვნელოვანია დამატებითი კვლევა სასამართლოს საზოგადოებრივი ხილვა-დობის უფრო სიღრმისეული გამოკვლევისთვის და მის საფუძველზე კომუნიკაციის სტრატეგიის შემუშავება.

მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მათთვის გადაწყვეტილებების დასაბუთება მნიშვნელოვანი მექანიზმია საზოგადოებასთან ურთიერთობისთვის, ისურვეს როგორც მეტი ტრენინგი ამ მიმართულებით, ისე მეტი დრო გადაწყვეტილებების მომზადებისთვის:

„...ტრენინგი ჩავვიტარდა გადანყვეტილების დასაბუთებაზე - ჩვენი სასაუბრო საზოგადოებასთან არის გადანყვეტილება - რაც უფრო ნათელი და მკაფიოა, მხარე რომ ნაიკითხავს უნდა მიხვდეს რატომ წააგო რომ უსამართლობის შეგრძნება არ ჰქონდეს. მაგრამ ამას უნდა დრო - რაც ჩვენ არ გვაქვს. გადანყვეტილებაზე რომ მიმუშავია 1 დღე - მეც და მოსამართლეს მოგვწონებია, ეს ფუფუნება სამსუხაროდ არ გვაქვს. დრო ხარისხს ამცირებს და ეს ცუდია...“

კვლევის შედეგების საფუძველზე, შეიძლება გამოვყოთ რეკომენდაციები და შემდგომი განხილვისთვის რამდენიმე საკითხი, რაც შეიძლება თემატურად დავაჯგუფოთ სამ ძირითად ნაწილად:

1. სასამართლო პრეცედენტების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ჰარმონიზაცია — კვლევამ გამოავლინა მოსამართლეებს შორის ძლიერი ნუხილი მსგავს საკითხებზე განსხვავებული გადაწყვეტილებების გამო. აღნიშნული გამოწვევის გადალახვისთვის, ასევე, სასამართლო სისტემის ჰარმონიზაციისთვის, აუცილებელია ვერტიკალური ჰარმონიზაცია (საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივი პროგრამა, ტრენინგებისთვის ერთგვაროვანი მიდგომების წინასწარ გაცნობა, ერთობლივი ტრენინგები პროკურორების, ადვოკატების, მოსამართლეების და რიგ შემთხვევებში შესაძლოა - პოლიციის მონაწილეობით). ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის გარდა, მნიშვნელოვანია ერთობლივი განხილვების ფორუმის/ფორმატის უფრო სისტემური ფორმატის დანერგვა, ასევე, ონლაინპორტალის შემუშავება, სადაც სხვადასხვა საკითხებზე არსებული გამოცდილების მოძიება უფრო მარტივი საძიებო სისტემით იქნება შესაძლებელი, ისევე როგორც კითხვების დასმა ე.წ. „crowd-sourcing“ შესაძლებლობების გამოყენება (ციფრულ სივრცეში მრავალი მომხმარებლის მიერ ატვირთული ინფორმაციის სისტემატიზაციისთვის არსებული პლატფორმების დანერგვა ან მათ საფუძველზე ახალი სისტემის შემუშავება). ამის პარალელურად, აუცილებელია ვერტიკალური ჰარმონიზაციაც: საჭიროა ხშირი და სისტემური შეხვედრები/ტრენინგები კანონმდებელთან, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლებთან, ისევე, როგორც საერთაშორისო სასამართლოების (განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს) პრაქტიკის თარგმნა ქართულად, ან მოსამართლე-თანაშემწეებისთვის სამართლებრივი ინგლისური ენის სწავლების ხელმისაწვდომობა (ეს შესაძლოა სპეციფიური ონლაინკურსის ფორმატიც დაინერგოს)⁷.

7. როგორც არის: Edx, Coursera, Udemy, Duolingo და სხვა.

2. *ადამიანის უფლებების მიმართ მგრძნობელობის გაზრდა/ადამიანის უფლებების მიმართულებით უახლესი საერთაშორისო სტანდარტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება* — იმის გათვალისწინებით, რომ მოსამართლეები და თანაშემწეები შედარებით ჰომოგენური ჯგუფია (სოციალურად, ეთნიკურად, რელიგიურად და სხვა ნიშნებით და კვლევის შედეგების გათვალისწინებით (მიკერძოება/სტერეოტიპული დამოკიდებულება), საჭიროებას წარმოადგენს მათთვის ტრენინგების ჩატარება როგორც უახლესი სტანდარტების შესახებ (ადამიანის უფლებების მიმართულებით), ისე სხვადასხვა შეხვედრა/ტრენინგის ორგანიზება ფსიქოლოგებთან, რათა სხვადასხვა სავარჯიშოების მეშვეობით, გამოიმუშავდეს მედეგობა და მგრძნობელობა. ამავდროულად, საინტერესოა ამერიკული მოდელების განხილვა ტრენინგებზე მიღებული ცონდის შეფასების მეთოდების შესახებ, რაც მათ შორის მოიცავს ადამიანის უფლებების მიმართ მოსამართლეების მგრძნობელობისა და მათი გადაწყვეტილებების დასაბუთების შესაფასებასაც (რადროსაც აუცილებელია ბალანსი კონფიდენციალობასა და განგრძობითი განათლების გაუმჯობესებისთვის უკუგების სისტემის არსებობას შორის)⁸.

3. *სასამართლოს მიმართ ნდობის ამაღლებისთვის, სასამართლო სისტემის საკომუნიკაციო სტრატეგიისა და მეთოდების შემუშავება* — მოსამართლეთა აზრით, სასამართლოს მიმართ ნდობის ერთ-ერთი ფაქტორია მოსახლეობის ცოდნა და ინფორმირებულობა მათ უფლებებსა და მოვალეობებზე, ისევე როგორც სასამართლოს მუშაობაზე. ამას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური კრიზისების თავიდან ასარიდებლად. სწორედ ამიტომ, სასამართლო სისტემისთვის აუცილებელია შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგიის შემუშავება, რათა გაიზარდოს მოსახლეობის ინფორმირება და ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ.

4. *ტექნიკური საკითხები* — ამავდროულად, არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლო განათლების სისტემაში ტექნიკური დაბრკოლებების გადალახვა, რაც მოიცავს მათ შორის მუდმივ, მაღალხარისხიან ულიმიტო ინტერნეტზე წვდომას (როგორც ონლაინ ტრენინგებისთვის, ისე ონლაინ სასამართლო სხდომებისთვის) - რაც აუცილებელია ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსამართლეებისთვის, ისე დაშორებულ სოფლებში მხარეთა მონაწილეობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ამავდროულად, აუცილებელია ტრენინგების ფიზიკური ხელმისაწვდომობა არა მხოლოდ თბილისში, არამედ რეგიონებშიც. პარალელურად, აუცილებელია ტრენინგებზე რეგისტრირების დროს

8. იხ. მეთოდოლოგიის ნაწილში განხილული მოდელები.

ყველა სასამართლოსთვის (26 რაიონული, 2 სააპელაციო და 1 უზენაესი სასამართლო) ან მინიმუმ სხვადასხვა რეგიონისთვის კვოტების არსებობა, რათა ტრენინგებზე ხელმისაწვდომობა თანაბარი იყოს სხვადასხვა რეგიონებს შორის. ამასთან, მონაწილეთა ლიმიტთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის მიზნით, თემის აქტიუალურობიდან და მონაწილე პირთა დაინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაიზარდოს მონაწილეთა ლიმიტი ან/და ერთსა და იმავე თემაზე ჩატარდეს რამდენიმე ტრენინგი დროის მცირე მონაკვეთში.

5. ტექნოლოგიებისა და crowd-sourcing მექანიზმების უკეთ გამოყენება — სასამართლო გამოცდილებისა და ცოდნის უკეთ ორგანიზებისთვის, შესაძლოა დამატებითი მსჯელობა crowd-sourcing ტექნოლოგიების გამოყენებაზე, მარტივი საძიებო სისტემის მქონე პლატფორმის შემუშავებაზე. ასევე, სასურველია ონლაინ დიალოგისა და ონლაინ სასწავლო მოდულების შექმნა, თუ გავითვალისწინებთ კოვიდ პანდემიით გამოწვეულ გარდაუვალ გაციფრულებას. ასევე, მნიშვნელოვანია ინტერნეტზე წვდომა გაიზარდოს როგორც მოსამართლეებისთვის, ისე სხდომის მონაწილეებისთვის. აუცილებელია ონლაინ ტრენინგების მეთოდოლოგიური გაუმჯობესება, რათა მეტმა მონაწილემ შეძლოს ჩართვა.

6. სისტემური შეფასების დანერგვის აუცილებლობა — კვლევის შედეგების თანახმად, ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია მუდმივი შეფასების სისტემისა და ინსტრუმენტის არარსებობა იუსტიციის უმაღლეს სკოლაში, რაც იმას ნიშნავს, რომ განგრძობითი განათლება არ ეფუძნება (ან არასაკმარისად ეფუძნება) რეალური საჭიროებების სისტემურ შეფასებას (პერიოდული შეფასების არსებობის მიუხედავად, არ არსებობს ერთიანი სისტემური მექანიზმი, ერთგვაროვანი, განგრძობითი შეფასებისთვის, რაც დროთა განმავლობაში პროგრესის გაზომვის შესაძლებლობას შექმნიდა). სასურველია ერთიანი მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტის შემუშავება მოსამართლეების განგრძობითი განათლების ერთგვაროვანი და განმეორებადი/პერიოდული შეფასებისა და მისი ასახვისთვის მუდმივად განახლებად საგანმანათლებლო პროგრამებში. შეფასების სისტემის მნიშვნელოვანი ნაწილია სტატისტიკური მონაცემები: აუცილებელია სხვადასხვა სახის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი (მათ შორის გაუქმებული გადამწყვეტილებების შესახებ).

აღნიშნულმა კვლევამ მრავალი კითხვა გააჩინა სასამართლო საგანმანათლებლო სისტემის გაუმჯობესების შესაძლებლობებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით, რაც საჭიროებს შემდგომ ჩარღმავებულ კვლევასა და დისკუსიას. ■

